შრომის ბაზრის კვლევა

კვლევის განმახორციელებელი

სსიპ კოლეჯი „აისი“

2022 წელი

შინაარსი

შესავალი 2

კვლევის მიზნები.....2

კვლევის ამოცანები.....3

კვლევის მეთოდოლოგია 3

კვლევის ტექნიკური მხარე.....4

კვლევის შედეგები კერძო სექტორი და დამსაქმებლები.....4

კვლევის შედეგები სამოქალაქო საზოგადოება 13

კვლევის შედეგები ადგილობრივი თვითმმართველობა 15

დასკვნა.....18

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისა და არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრისთვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობასა და შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. შრომის ბაზრის მოსალოდნელი ტენდენციების გამოვლენა და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება, დასაქმებისა და ბიზნესის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. სამუშაო ძალისთვის პროფესიული სწავლების დაგეგმვა, ზრდასრულთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება უნდა მოხდეს შრომის ბაზრის შესწავლის საფუძველზე მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. თუმცა, ხშირად შრომის ბაზრის მოთხოვნა და საზოგადოების ინტერესები თანხვედრაში არ არის. ამიტომ, პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დანერგვისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია, სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებების დასანახად.

პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების საჭიროებების, შემუშავებისა და დანერგვის მიზნით, კვლევა ჩატარდა კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტში (გურჯაანი, საგარეჯო, თელავი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ახმეტა,

დედოფლისწყარო, ყვარელი) კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კახეთის რეგიონის ადგილობრივ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია, სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების და შრომის ბაზარზე დამსაქმებელთა განწყობებისა და მოთხოვნების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოძიება, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ მოთხოვნადი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები, რათა კოლეჯმა შეძლოს სწრაფი რეაგირება და მოთხოვნადი პროგრამების დანერგვა.

კვლევის ამოცანები

კვლევის ამოცანას წარმოადგენს შემდეგი ძირითადი საკითხების შესწავლა:

- შრომის ბაზრის მოთხოვნადი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების შესწავლა კახეთის რეგიონში.
- აღნიშნული პროგრამების ეფექტურობის შესწავლა დასაქმების თვალსაზრისით კახეთის რეგიონში და კერძო სექტორის მზაობის დადგენა, სსიპ კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობით მოამზადოს საწარმოს/ორგანიზაციის კადრები და საჭიროების შემთხვევაში დაასაქმოს კოლეჯის კურსდამთავრებულები.
- კერძო სექტორისთვის მნიშვნელოვანი სპეციალობების განსაზღვრა, რომლებზეც შეიძლება გაჩნდეს საჭიროება მათ საწარმოში ან ორგანიზაციაში მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი კვლევის მეთოდის - სატელეფონო გამოკითხვის გამოყენებით. გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელმაც მოგვცა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების, გაზომვისა და ანალიზის შესაძლებლობა.

ინტერვიუ ჩატარდა სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით. ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა მაქსიმუმ 10 წუთს.

კვლევის ტექნიკური მხარე

კვლევა განხორციელდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ორგანიზებით და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის ჩართულობით.

კვლევის მეთოდურ და ორგანიზაციულ მომზადებას, მიმდინარეობის მონიტორინგსა და კვლევის შედეგების დამუშავებას ხელმძღვანელობდა სსიპ კოლეჯ „აისის“ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ანგარიშის მომზადებისას გამოყენებული იქნა ჩატარებული კვლევის შედეგები.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო, როგორც წინასწარ შერჩეული კვლევის ობიექტების გარკვეულმა რაოდენობამ, ასევე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა. საბოლოოდ, კვლევის მონაწილეთა რაოდენობა განისაზღვრა 336 რესპოდენტით:

1. კერძო სექტორის წარმომადგენლები - 154 რესპოდენტი
2. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები - 170 რესპოდენტი
3. თვითმმართველობის წარმომადგენლები - 12 რესპოდენტი

კვლევა მიმდინარეობდა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის პერიოდში.

კვლევის შედეგები - კერძო სექტორი და დამსაქმებლები

კვლევა ჩატარდა კერძო სექტორის 154 წამომადგენელთან და გამოკითხული რესპოდენტების საწარმოს/ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, რაოდენობრივად და პროცენტულად ასე გადანაწილდა:

1. აგრარული სფერო - 52 (34%)
2. მედიცინა, ჯანდაცვის სფერო - 12 (8%)
3. ინჟინერია-32 (21%)
4. ტურიზმი - 15 (9%)
5. მომსახურების სფერო-33 (22%)
6. ხელოვნების სფერო-10 (6%)



კითხვაზე, თუ რა ფორმით უზრუნველყოფენ საკუთარი საწარმოს/ ორგანიზაციის პროფესიონალი კადრით დაკომპლექტებას, აქ რესპოდენტს შეეძლო გაეცა ერთი ან რამდენიმე პასუხი. შესაბამისად, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: 17 პასუხი (11%) - არსებული კადრების გადამზადებით საკუთარი ძალებით, 58 პასუხი (37%)- არსებული კადრების გადამზადებით გარე რესურსის დახმარებით და 79 პასუხი (52%) - ახალი კვალიფიციური კადრის აყვანით.



გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ საწარმოთა უმრავლესობას, დაახლოებით 137/89 %-ს, აქვს სურვილი საკუთარი კადრები მოამზადოს კოლეჯი „აისის“ დახმარებით ან აიყვანოს ახალი პროფესიონალი კადრი კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან. მხოლოდ 17/11%-მა განაცხადა რომ კადრებს საკუთარი ძალებით გადაამზადებენ.



კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობის სურვილი კერძო სექტორის გამოკითხულთა უმრავლესობამ გამოთქვა, ვინაიდან აღნიშნულ კითხვაზე შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის შერჩევა, პასუხები პროცენტულად შემდეგნაირად აისახა:

- მსმენელების პრაქტიკულ განვითარებაში ჩართულობა, მონაწილეობა -34,4%
- მხარდაჭერა სწავლებისთვის საჭირო რესურსებით - 16,2%
- საწარმოს პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში – 7,9%
- კურსდამთავრებულთა დასაქმება / ხელშეწყობა - 41,5%



რაც შეეხება, ცალკეული სფეროების წარმომადგენლებს, კითხვაზე, ისურვებენ თუ არა კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობას, ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით გამოკითხულმა დამსაქმებლების თითქმის 100%-მა განაცხადა, მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ რეგიონი განიცდის კვალიფიციური კადრების/საექთნო საქმის და შინმოვლის სპეციალისტების დეფიციტს და მათთვის მნიშვნელოვანია კოლეჯთან თანამშრომლობა, რათა კადრების დეფიციტი შეავსონ ახალი პროფესიონალი თანამშრომლებით. კითხვაზე, დაასაქმებენ თუ არა კოლეჯ „აისის“ კურსდამთავრებულებს, 96%-მა განაცხადა, რომ აუცილებლად დაასაქმებს, მხოლოდ 4%/-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ შეძლებს მათ დასაქმებას.



ასევე, პროფესიონალი კადრების ნაკლებობა გამოიკვეთა იმ გამოკითხული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან საუბარში, რომლებიც ოპერირებენ რეგიონში. კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი კომპანიისთვის ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება, 18%-მა განაცხადა, რომ ყავთ პროფესიონალი კადრები, 28%-მა აღნიშნა, რომ რეგიონში აღნიშნული მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტია, კომპანიის წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა კი (54%-მა) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება.



ტურისტული კომპანიის მხრიდან არის მზაობა, რომ სწავლის დასრულების შემდგომ დაასაქმონ კურსდამთავრებულები.



აგრარული სფეროს სპეციალისტებზე მოთხოვნა ყოველწლიურად იზრდება. ფერმერებს მუდმივად სჭირდებათ ამ მიმართულებით საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან ფერმერული მეურნეობის სპეციფიკური სამუშაოების შესრულებაზე. კვლევის თანახმადაც რეგიონში ამ მიმართულებით შეინიშნება კვალიფიციური კადრების სერიოზული დეფიციტი და მომავალში ამ სფეროს სპეციალისტები კიდევ უფრო მოთხოვნადი და პერსპექტიული გახდება.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი კომპანიისთვის ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება აგრარული მიმართულებით, კომპანიის წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა (58%-მა) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ამ სფეროში აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, 30%-მა აღნიშნა, რომ რეგიონში აღნიშნული მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტია, და მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ ყავთ პროფესიონალი კადრები.



ხელოვნების სფეროს მიმართულებით გამოკითხულმა დამსაქმებლების თითქმის 100%-მა განაცხადა, მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯ „აისთან“ სხვადასხვა ფორმით. გამოკითხულთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანია კოლეჯთან თანამშრომლობა, რათა კადრების დეფიციტი შეავსონ ახალი პროფესიონალი თანამშრომლებით. კითხვაზე, დაასაქმებენ თუ არა კოლეჯის „აისი“ კურსდამთავრებულებს, გამოკითხულთა 88%-მა განაცხადა, რომ აუცილებლად დაასაქმებს, მხოლოდ 12%-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ შეძლებს მათ დასაქმებას.



კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტს ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ვითარდება შიდა ტურიზმიც, რომლის განვითარებასთან ერთად საკმაოდ მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება. ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნა სერვისი და სერვირების მიმართულებით, შეინიშნება კვალიფიციური და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების დეფიციტი. გამოკითხული სასტუმროების და რესტორნების წარმომადგენლების მხრიდან გამოიკვეთა მოთხოვნა პროფესიული მომზადების პროგრამაზე სერვისი და სერვირების მიმართულებით.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი კომპანიისთვის ახალი პროფესიონალი კადრების მომზადება კომპანიების წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა (60%) აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სერვირების მიმართულებით შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე კადრების მომზადება, 30%-მა აღნიშნა, რომ რეგიონში აღნიშნული მიმართულებით პროფესიონალი კადრების დეფიციტია, და მხოლოდ 10%-მა განაცხადა, რომ ჰყავთ პროფესიონალი კადრები.



ინფრასტრუქტურის განვითარება მნიშვნელოვანია კახეთის რეგიონისთვის. ამ მიზნით რეგიონში მიმდინარეობს ფართო მასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები. გამოკითხული საწარმოთა უმრავლესობის აზრით რეგიონში კვალიფიციური შემდუღებლების დეფიციტია. დაახლოებით 89%-ს აქვს სურვილი საკუთარი კადრები მოამზადოს კოლეჯის „აისი“ დახმარებით ან აიყვანოს ახალი პროფესიონალი კადრი კოლეჯის კურსდამთავრებულთაგან. მხოლოდ 11%-მა განაცხადა რომ კადრებს საკუთარი ძალებით გადაამზადებენ.



პროფესიონალი კადრების არსებობის შემთხვევაში დაასაქმებთ თუ არა კოლეჯის „აისი“ კურსდამთავრებულებს? გამოკითხული კომპანიების 58%-მა განაცხადა რომ აუცილებლად დაასაქმებს, 10%-მა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ვერ დაასაქმებს და 32%-მა განაცხადა, რომ მომავალში აუცილებლად დაასაქმებს.



აღნიშნული კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე და მომდევნო 1-3 წლის განმავლობაში რეგიონში დამსაქმებელთა მხრიდან საკმაოდ მოთხოვნადია ტურიზმის, მომსახურების, აგრარული, ინჟინერიის, ჯანდაცვისა და ხელოვნების მიმართულების სპეციალობები. კერძო სექტორის წარმომადგენლების აზრით კახეთის რეგიონისათვის მომდევნო 1- 3 წლისათვის პრიორიტეტული იქნება შემდეგი მოკლევადიანი პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება: ,,სერვისი და სერვირება“, ,,შედუღება ინერტულ აირში (არგონში), ,,ხელით ელექტრო რკალური შედუღება“, ,,ხე-ტყის დამზადება“, ,,შინმოვლის სპეციალისტი“, ,,შინმოვლის სპეციალისტი ექთანი“, ,,დეკორატიული მცენარეების გამრავლება“, ,,ავეჯის კონსტრუირება და მონტაჟი“, ,,საოფისე საქმე“, ,,ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის სპეციალისტი“, ,,სასტუმროსა და რესტორნის დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“, ,,ფუტკრის მოვლა-პატრონობა“, ,,ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით“, ,,ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა“, ,,ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება“, ,,მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება“, ,,ტყის აღდგენა-გაშენება“, ,,ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება“, ,,მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმის სერვისი“, ,,ქართული და უცხოური კერძების მომზადება“, ,,რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“.

კვლევის შედეგები - სამოქალაქო საზოგადოება

როგორც აღვნიშნეთ, პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვისა და განხორციელებისთვის შრომის ბაზრის მოთხოვნასთან ერთად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების კვლევა მათი საგანმანათლებლო საჭიროებებისთვის.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 170-მა სხვადასხვა სქესის, ასაკისა და განათლების მქონე ადამიანმა. მათ შორის ყველაზე მეტი - 42% იყო 20-დან 29 წლამდე ასაკის მოქალაქე, 23% იყო 16-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდა, ხოლო დარჩენილი 35% იყო 30 წლის ზევით ასაკის პირი.



აღმოჩნდა, რომ კვლევაში მონაწილეთა 71% კარგად იცნობს კოლეჯ „აისს“ და მიმდინარე პროგრამებს. 26%-ს აქვს მეტ-ნაკლები წარმოდგენა კოლეჯის შესახებ. 3%-ს კი არ იცნობს კოლეჯის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს.



კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებულ პროგრამების ჩამონათვალში, მოცემული იყო პროფესიები სხვადასხვა სფეროებიდან. სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ყველაზე მოთხოვნად პროგრამებად დასახელდა: ,,სერვისი და სერვირება“, ,,ხელით ელექტრო რკალური შედუღება“, ხე-ტყის დამზადება“, ,,შინმოვლის სპეციალისტი“, ,,შინმოვლის სპეციალისტი ექთანი“, ,,დეკორატიული მცენარეების გამრავლება“, ,,ფუტკრის მოვლა-პატრონობა“, ,,ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით“, ,,ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა“, ,,ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება“, ,,მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება“, ,,ტყის აღდგენა-გაშენება“, ,,ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება“, ,,მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმის სერვისი“, ,,ქართული და უცხოური კერძების მომზადება“, ,,რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“,,შედუღება ინერტულ აირში (არგონში), ,,ავეჯის კონსტრუირება და მონტაჟი“, ,,საოფისე საქმე“, ,,ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის სპეციალისტი“, ,,სასტუმროსა და რესტორნის დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“.

განსაკუთრებით საინტერესო იყო ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები და პროფესიული განათლებისადმი მათი დამოკიდებულება. ახმეტაში მცხოვრები პანკისის მოსახლეობა დაინტერესებულია შინმოვლის სპეციალისტის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესწავლით.

კვლევის შედეგები - ადგილობრივი თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ კახეთის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულების და თანამშრომლობის შესწავლა. კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

1. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ჩართულობის შესწავლა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების მიღების პროცესში;
2. პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის ფორმების შესწავლა;
3. მუნიციპალიტეტებში არსებული/მოსალოდნელი პროფესიებისა და სპეციალობების შესწავლა;
4. სამომავლოდ კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე. ყველაზე პერსპექტიული სპეციალობების გამოვლენა;

კვლევაში მონაწილეობა მიიღო კახეთის რეგიონის 8 მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის 12-მა წარმომადგენელმა.

როგორც კვლევის შედეგმა აჩვენა, კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ჩართულობა მოსახლეობისთვის პროფესიული განათლების შესახებ ინფორმაციების სხვადასხვა ფორმით მიწოდების პროცესში საკმაოდ აქტიურია. გამოიკვეთა, რომ კახეთის რეგიონის მუნიპალიტეტების აბსოლიტური უმრავლოსობა სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობს კოლეჯ „აისთან“ და მის ფილიალებთან. ერთობლივად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები, რათა მოხდეს პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირთა ხელშეწყობა მათთვის შესაფერისი პროფესიების არჩევაში.

გამოკითხულთა 98% თვლის, რომ კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის პრიორიტეტული მოკლევადიანი პროგრამებია: ,,სერვისი და სერვირება“, ,,ხელით ელექტრო რკალური შედუღება“, ,,ხე-ტყის დამზადება“, ,,შინმოვლის სპეციალისტი“, ,,შინმოვლის სპეციალისტი ექთანი“, ,,დეკორატიული მცენარეების გამრავლება“, ,,ფუტკრის მოვლა-პატრონობა“, ,,ვაზის ნერგის წარმოება და ვენახის შევსება ახალი ნარგავებით“, ,,ღვინის მოვლა, ტექნოლოგიური დამუშავება და ჩამოსხმა“, ,,ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება“, ,,მომინანქრების სხვადასხვა ტექნიკით ნაკეთობათა დამზადება“, ,,ტყის აღდგენა-გაშენება“, ,,ელექტრონული მონტაჟი და უსაფრთხოება“, ,,მსუბუქი ავტომობილის სამუხრუჭე სისტემისა და საჭით მართვის მექანიზმის სერვისი“, ,,ქართული და უცხოური კერძების მომზადება“, ,,რეგიონული ტურის მეგზური (ქართულენოვანი)“, ,,შედუღება ინერტულ აირში (არგონში), ,,ავეჯის კონსტრუირება და მონტაჟი“, ,,საოფისე საქმე“, ,,ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის სპეციალისტი“, ,,სასტუმროსა და რესტორნის დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა“.

გამოკითხულთა აბსოლიტური უმრავლესობა 88% თვლის, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება, რათა მომზადდეს კვალიფიციური და კონკურენტული კადრი, შესაბამისად მათი დასაქმებაც გაცილებით მარტივია. 9% თვლის, რომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია და მხოლოდ 3%-მა განაცხადა, რომ არც თუ ისე მნიშვნელოვანია.



აღნიშნული კვლევის ფარგლებში შესწავლილი იყო, თუ რომელი პროფესიებია კონკრეტული მუნიპალიტეტებისთვის ყველაზე მოთხოვნადი. აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა სფერო აქტუალურია, მაგრამ გამოიკვეთა პრიორიტეტული პროფესიები.

კვლევის თანახმად, რესპოდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა (98%) თვლის, რომ ტურიზმის, მომსახურების, სამედიცინოს და აგრარული სფეროს ასევე ხელოვნების და ინჟინერიის მიმართულებით სპეციალობები არის მოთხოვნადი და დასაქმებადი პროფესიები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა მხრიდან კახეთის რეგიონის საჭიროებიდან გამომდინარე, დასახელდა ყველაზე მოთხოვნადი პროგრამები: ,,სერვისი და სერვირება“, ,,ხელით ელექტრორკალური შედუღება“, ,,ხე-ტყის დამზადება“, „დეკორატიული მცენარეების გამრავლება“, ,,შინმოვლის სპეციალიტი“, ,,შინმოვლის სპეციალისტი-ექთანი“, ,,შედუღება ინერტულ აირში (არგონში)“.

თვითმმართველობის წარმომადგენელთა აზრით, კახეთის რეგიონში მომავალში ინფრასტრუქტურურის განვითარების გამო კიდევ უფრო პრიორიტეტული იქნება სამშენებლო პროფესიები და მოთხოვნა გაიზრდება სპეციალისტებზე.

დასკვნა

გამოკითხვის შედეგებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კოლეჯ „აისის“ მიერ შეთავაზებული თითქმის ყველა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არის მოთხოვნა და საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არის ახალი ცოდნის მისაღებად. კერძო სექტორის (დამსაქმებლების) მნიშვნელოვანი ნაწილისთვის კი მისაღებია კოლეჯ „აისთან“ თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმა.

იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯი „აისი“ კახეთის რეგიონში წარმოადგენს პროფესიული განათლების ყველაზე დიდ პროვაიდერს და სხვადასხვა მუნიციპალიტეტებშიც (გურჯაანი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ლაგოდეხი) უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროგრამების განხორციელებას, რომელზეც არის მოთხოვნა საზოგადოების მხრიდან.

გარდა იმ პროგრამებისა რომელსაც კოლეჯი ახორციელებს, კვლევის ანალიზის შემდგომ ასევე გამოიკვეთა ,,სერვისი და სერვირება“, ,,დეკორატიული მცენარეების გამრავლება“, ,,ხელით ელექტრო რკალური შედუღება“; ,,ხე-ტყის დამზადება“, ,,შედუღება ინერტულ აირში (არგონში) - ,,შინმოვლის სპეციალიტი“, ,,შინმოვლის სპეციალისტი-ექთანი“ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვის აუცილებლობა. ასევე საზოგადოებისა და კერძო სექტორის მხრიდან გამოიკვეთა მოთხოვნა ავეჯის კონსტრუირებისა და მონტაჟის, საოფისე საქმის, ვენტილაციისა და კონდიცირების სისტემის სპეციალისტისა და სასტუმროსა და რესტორნის დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფის მიმართულებით.

მთლიანობაში, ზემოთ აღნიშნული პროგრამების დანერგვა ხელს შეუწყობს კახეთის რეგიონის მოსახლეობის დასაქმებას, მათ ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასა და თვითდასაქმების მაჩვენებლის ზრდას.